

დემოკრატია - მშვიდობის გარანტი გარდამავალი დემოკრატიის
ქვეყნებში? (საქართველოს მაგალითზე)

ბექა ლიპარტელიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

*უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის
მეცნიერების მაგისტრის*

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (პოლიტიკის მეცნიერებები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა ჩაფიჩაძე, სოციალური მეცნიერებების
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბექა ლიპარტელიანი, 05.07.2015

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი გვაჩვენებს რამდენად იყო (2003 წლიდან და 2008 წელსაც კი, საქართველო-რუსეთის ომის დროს), არის და იქნება მომავალში, დემოკრატია მშვიდობის საწინდარი და/ან გარანტი გარდამავალი დემოკრატიის მქონე საქართველოსთვის, მაგრამ ჩდება კითხვა - რატომ მაინც და მაინც დემოკრატია?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც მსოფლიო დარწმუნდა მშვიდობის აუცილებლობაში, საერთაშორისო საზოგადოება მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეიქმნას ისეთი მსოფლიო წესრიგი, რომელიც უპასუხებს უსაფრთხოების მოთხოვნებს. და აი, ამ საკითხის და კანტის „მარადიული მშვიდობის“ შესახებ თეზისების მეშვეობით შეიქმნა დემოკრატიული მშვიდობის თეორია, რომლის მიხედვით დემოკრატიები არ ეომებიან ერთმანეთს, შესაბამისად დემოკრატია არის მშვიდობის გარანტია. ზუსტად ამაზე არის საუბარი ალექსანდრე რონდელის წიგნში, ფრენსის ფუკუიამას და მაიკლ დოილის ნაშრომებში, მაგრამ არც ასე მარტივად არის ყველაფერი. არსებობს მეცნიერებების ჯგუფი, მათ შორის ფარიდი ზაქარია, რომლებიც თვლიან, რომ დემოკრატია გარდამავალ ქვეყნებში არის საფუძველი დესტაბილიზაციისთვის რეგიონალურ დონეზე, რაც გულისხმობს ეთნიკურ დაპირისპირებებს და ხშირ შემთხვევაში ომებსაც კი.

შეუძლია კი საერთოდ დემოკრატია, უზრუნველყოს მშვიდობიანი მსოფლიო და გახდეს მშვიდობის საწინდარი და/ან გარანტი არა მხოლოდ სრულფასოვანი, არამედ გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებისთვის, თუმცა როგორიცაა საქართველო? - დიახ, შეუძლია, სწორედ საქართველოში განვითარებული მოვლენებზე დაკვირვებით ვაკეთებთ ამ დასკვნას და ეს შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თოთოეულ ადამიანს სურს იცხოვროს მშვიდობიან სამყაროში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველო, დემოკრატია, მშვიდობა.

Abstract

The work shows how democracy has been and/or will be guaranty of peace for a transitional democracy like Georgia since 2003 and even during Georgian-Russian War of 2008. However, the following question arises: why does in particular democracy matter?

After the Second World War, when the inevitability of peace became clear for the world, the international community arrived at the conclusion that establishing of the world order, which might respond to the the security challenges, is necessary. Therefore, the Theory of Democratic Peace was elaborated as a response to the security issue, as well as based on the theses of the “Perpetual Peace” by I. Kant. According to this theory, democracies do not conduct warfare and therefore, democracy is a garancy of peace. The topic is discussed in the book by Alexandre Rondeli, as well as in the works written by Francis Fukuyama and Michael Doyle. However, nothing is that easy here. A group of other scientists, including Fareed Zakaria considers that democracy in countries of transition is a source of destabilization in the region in the context of ethnic clashes and quite frequent wars.

Is democracy capable of providing the peaceful world and become a guaranty for peace not only for fully democratic countries, but also for transitional democracies like Georgia? – Yes, it is capable; we arrived at such a conclusion as an outcome of analyzing in concrete the case of Georgia. And these results are very important as every human is willing to live in a peaceful world.

Key Words: Georgia, democracy, peace.